უწმინდესი პატრიარქის კირილეს განცხადება კიევ-პეჩერის ლავრიდან მორწმუნეთა გაძევების მცდელობებთან დაკავშირებით



სსკგ-ის კომუნიკაციი სამსახური, 14.07.2023. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე **განცხადებით გამოვიდა** კიევ-პეჩერის ლავრიდან მორწმუნეების გაძევების მცდელობებთან დაკავშირებით.

უკრაინის ხელისუფლებამ დაიწყო ძალადობრივი აქციები, რომელთა მიზანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეების საბოლოო განდევნა კიევ-პეჩერის ლავრიდან. ძალადობა გამოიყენება, მათ შორის, მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც მიდიან მონასტრის კედლებთან, რათა დაიცვან თავიანთი გულისთვის ძვირფას მონასტერში ლოცვის უფლება.

კიევ-პეჩერის ლავრას, რუსეთის მართლმადიდებლობის ამ უძველეს სავანეს, საბჭოთა პერიოდში უღვთო დევნის ატანა მოუხდა. XX საუკუნეში ღმერთმებრძოლებმა ლავრა ორჯერ დაკეტეს. პირველად 1920-იან წლებში, როდესაც, ისევე როგორც დღეს, სამონასტრო თემი თანდათან განდევნა ახლადშექმნილმა „ისტორიულ-კულტურულმა სახელმწიფო ნაკრძალმა“, რაც მონასტრის სრული ლიკვიდაციით დასრულდა. ძმების ნაწილი დახვრიტეს, ბევრი დააპატიმრეს ან გადაასახლეს, ხოლო თავად ლავრა მოაოხრეს. XX საუკუნის 40-იან წლებში სამონასტრო ცხოვრება აღორძინდა, მაგრამ მონასტერი კვლავ დაიკეტა ახალი ანტიეკლესიური დევნის დროს, უკვე გასული საუკუნის 60-იან წლებში.

30 წელზე მეტი გავიდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კიევ-პეჩერის ლავრის უკანასკნელი აღორძინებიდან, რომლის დროსაც მონასტერი აღდგა და გამშვენიერდა სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალი მორწმუნის შრომით. სავანე კვლავ იქცა მსოფლიო მართლმადიდებლობის ნამდვილ მარგალიტად. ახლა კი, დიდი სინანულით უნდა ვაღიაროთ, რომ მიმდინარეობს ახალი, მორიგი მცდელობა იმისა, რომ შეწყდეს მონასტრის არსებობა, როგორც მილიონობით მორწმუნის სულიერი ცენტრისა.

ყველა, ვინც ახლა ამ უკანონობას უწყობს ხელს, საკუთარ თავს XX საუკუნის ღმერთმებრძოლთა მემკვიდრეებად აქცევს, როგორი საბაბითაც არ უნდა ამართლებდნენ ისინი თავიანთ ქმედებებს.

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ისევე როგორც სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებმა და წარმომადგენლებმა, მიმართეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, გააკეთეს განცხადებები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეების დევნის შეწყვეტის მოთხოვნით. სიწმინდის პატივისცემაზე გადის გზა მშვიდობისაკენ, რაც არ უნდა მძიმე იყოს ომით მიყენებული ჭრილობები. მაგრამ, როგორც მსოფლიო საზოგადოების რეაქცია აჩვენებს, უკრაინის მოქალაქეების უფლება, თავისუფლად იაღმსარებლონ თავიანთი სარწმუნოება, ბევრისთვის არ არის საინტერესო თემა, მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ ხშირად გამოდიან ადამიანის უფლებების დაცვის განცხადებებით.

მორწმუნეების წინააღმდეგ ტერორი ხდება ჩვენს თვალწინ დაუსჯელად და ურცხვად. ეკლესია, რომელიც რამდენიმე ათეულობით მილიონ მორწმუნეს აერთიანებს, სახელმწიფოს მტრად არის გამოცხადებული.

ვლოცულობთ უკრაინაში ანტირელიგიური დევნის ყველა მსხვერპლისთვის, და დარწმუნებულები ვართ, რომ პასუხისმგებლობა უდანაშაულო მორწმუნეების ტანჯვაზე, რომლებიც საკუთარ სახელმწიფოში უცხო გახდნენ, სამუდამოდ დაეკისრება მათ, ვინც მოაწყო ეს ტერორი ან წააქეზა ეს დევნა.

+ კირილე,

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90524/